

F  
199

5

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საქართველოს  
სახელმწიფო  
მუზეუმის  
მუზეუმის  
მუზეუმის  
მუზეუმის

# კონკრეტული მუზეუმის

სამსახურის მუზეუმის



ქვრივ მაგდანას—ქარხნის მუშას—  
დედისერთა შვილი ჰყავდა,  
ცალკე ჯაფა აწეუხებდა,  
ცალკე შვილის დარღი ჰკლავდა.  
დედა დილით ქარხანაში  
სამუშაოდ გაეშურა,  
გოგია კი თავის ძალლსა  
ეუბნება: „იცი, მურა,  
დედა მიღის სამუშაოდ,  
ჩვენ კი ვრჩებით მარტოდ-მარტო,  
მოდი, ერთად მოვიგონოთ  
ჩვენი თავი რით გავართოთ!“  
მაგრამ ვიდრე ჩვენი გოგი  
დაჲკეტავდა კარებს კარგად,  
მურა სადლაც გაიპარა,  
მურა სადლაც გადიკარგა.

დანართები წიგნი არა უგვიანეს აღნიშვნელ გადინა  
Возратите книгу не позже обозначен. здесь срока

8-93:99.962.1-1



विद्यालय  
संग्रहालय



გოგი დარბის აქეთ-იქით...  
ფიქრობს: „ეს რა დამემართა!“  
მაგრამ ბოლოს თავის ძალლი  
ძლივს იპოვნა ბალის კართან.  
მეგობრებიც დაინახა:  
შალვა, ნუნუ, ნელლი, რეზო,  
თამაშით და ურიამულით  
ზიმზიმებდა მთელი ეზო.  
„—მოდი, გოგი, ნუ გრცხვენია!  
შეეგება კართან ნელლი—  
შენი ძალლიც მოიყვანე,  
რა კარგია, საყვარელი!“  
ითამაშეს, იბურთავეს,  
მოეწონათ ყველას ბავში  
და ბოლოს კი გადასწყვიტეს,  
რომ მიეღოთ ისიც ბალში.

ରାଜ୍ୟବିହାର  
ପାଠ୍ୟଗୀତାବଳୀ



აღრიანად აღგა გოგი,  
ტანთ ჩაიცვა მარდად, ხელად,  
და სკოლაში მურიკოთი  
ემზადება წასასვლელად.  
„—მურა! მურა! მოდი აქა,  
დავიბანოთ უნდა პირი,  
დღეს ჩვენ ბალში დაგვპატიჟეს,  
შევასრულოთ დანაპირი.  
—დედი, სუფთა ხალათი მაჭვს...  
მომაწოდე ჩქარა... ჩქარა...  
დღეს საბავშო ბალის გამგემ  
ორივენი დაგვიბარა;  
გადავწყვიტე, დედი, ახლა  
ალარ ვიყო უსაქმურად!“  
სთქვა და გოგიმ ბალისაკენ  
გააქანა თავის მურა:

၁၂၃၆၂၄၂၀  
၂၀၈၉၂၀၁၀၁၅



შემოღვომამ ხის ფოთლები  
ჩამოჰყარა ოქროს ფერად,  
და ბავშების მთელი გუნდი  
შეესია ასაკრებად.  
გოგი უკვე ბალში არის,  
ეხმარება ამხანაგებს,  
მუშაობს და კუბიკებსა  
ხან ანგრევს და ხან ალაგებს.  
მურიაც კი ამუშავეს,  
ზედ აჰეთეს ფიჩის კონა,  
მაგრამ, ნურას უკაცრავად,  
მურას ეს არ მოეწონა:  
გამოეშვა ურემიდან,  
ამჯობინა ყოფნა ცალკე,  
მიატოვა სუსველანი  
და მოჰკურცხლა შინისაკენ.





ზამთარია, და ბავშები  
გამოსულან ყველა გარეთ.  
რა თოვლია! ჰერი, ბიჭო,  
იცელქეთ და გაიხარეთ!  
მთელი ბალი, მთელი ეზო  
სპეტაკ თოვლით მოიფინა,  
გოგიამაც საგუნდაოდ  
ნააღრევად მოირჩინა;  
გააკეთა თოვლის პაპა,  
დაუყენა ძალლი გვერდით...  
—გოგი! გოგი! სულ შენა გგავს...  
აბა კარგად დააცქერდი!!  
—რა კარგია გუნდაობა!  
ახმაურდა ყველა ბავში;  
ბიჭოს! ერთი თოვლის გუნდა  
თვით მურასაც მოხვდა თავში!

ეროვნული  
ბიბლიოთეკი



გაზაფხულდა! არემარე  
შეიმოსა მწვანე ფერით,  
ჩვენს ბავშებსაც გაუჩინეს  
სამუშაო შესაფერი.

ზოგი ბარავს, ზოგი სთესავს,  
ზოგი უვლის თავის კვალსა,  
და გოგიაც ბოსტანისთვის  
ეზიდება კასრით წყალსა.

— გოგი, კმარა, ნუ გაგვწუწე...  
— დაანებე ღნკანს თავი!  
— ახლა ჩვენი ჯერი არის,  
— კვალი გვრჩება მოსარწყავი!  
გოგია კი უპასუხებს:  
— როდის გწუწავთ, აბა, როდის?  
აბა, ჩემი რა ბრალია:  
გაზაფხულის წვიმა მოდის!

ՕՐԵՆԵՐԸ  
ՃԱՇԽՈՐԾՅԱ



ԺԱՇԽՈՐԾՅԱ

ცხელა! ცხელა! ჩვენს ბავშებსაც  
ბალზე გული აუცრუვდათ....  
ყველა საღლაც ეშურება,  
ყველას სოფლად წასვლა უნდა.  
„ჩვენს სოფელში,—ამბობს ნუნუ,—  
ოქ, რამდენი იცის ხილი!“  
რეზომ უთხრა: „მე კი მიყვარს  
ჩიტუნების მოძახილი!“  
გოგიამ სთქვა: „მეც ბებოსთან  
გავემგზავრო უნდა მთებში,  
იქ ყოველდღე მე და მურა  
ვიბანავებთ მღინარეში!“  
დაითხოვეს სუყველანი,  
გაემგზავრა გოგიც სოფლად,—  
რომ მოკეთდეს, გაიზარდოს  
მშრომელ დედის მახარობლად.

ଓক্টোবেৰ ১৯৮৩



9560 12.25.3.

721/140



შედგენილი 6. უნივარაციის  
6. დოკუმენტაციის  
და 2. კარგის დაზღვევის - მიერ -



სახელმწიფო